ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2275444

ნომერი: AR1352793

თარიღი : 28.10.2015

გაცემის თარიღი : 03.11.2015

გაცნობის თარიღი : 03.11.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ქურხული , N 14 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კახაბერ კახიანი პ/ნ 01008002748
- თბილისი ირ. აბაშიძის 48

ორგანიზაცია:

- შპს "მიკროსაფინანსო ორგ. იზიკრედ ჯორჯია კოდი: 205267584

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- III კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : N 1077089
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 14.01.2014

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ

თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა 2015 წლის 24 მაისის N AR1312764 ელექტრონული განაცხადი, რომელიც ეხება ქურხულის ქ. N14–ში დადგენილი სანებართვო პირობების დარღვევით/შეუსრულებლობით განხორციელებული მშენებლობის ქალაქგეგმარებით პირობებთან შესაბამისობის დადასტურების საკითხს და გაცნობებთ, რომ სამსახურს მიეცემა საკითხზე მსჯელობის შესაძლებლობა განხილვისთვის შემდეგი აუცილებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ:
– ვინაიდან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 20/03/2015 წლის N ბ-12/1501269-16 ბრძანებაში მითითებულია: ,,დამატებულია ღობე და ჭიშკარი, რომლებიც ნაწილობრივ გასულია საკადასტრო წითელი საზღვრიდან.'' წარმოდგენილი უნდა იქნას კორექტირებული საკადასტრო გეგმა და ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის შესაბამისი აქტი;
– არსებული მდგომარეობის ამსახველი ფოტოებიდან ირკვევა რომ ფასადზე მოწყობილია სარეკლამო აბრა. "რეკლამის შესახებ" საქართველოს კანონის მე–4 მუხლის შესაბამისად: "უცხოურენოვანი წარწერა ზომით არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო ენაზე შესრულებულ წარწერას. უცხო ენაზე შესრულებული წარწერა ზომით (ყველა შემთხვევაში) და რაოდენობით (გარდა ტელეპროდუქციისა) არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო ენაზე შესრულებულ (ტრანსლიტერირებულ ფორმას)";
– წარმოდგენილი იქნას ცვლილებების ამსახველი უფრო ვრცელი ფოტომასალა (სარეკლამო წარწერა, საჩრდილობლები, ჟალუზები...), ამასთან ნაჩვენები იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის ბრძანება Nბ-12/1501269-16-ში დაფიქსირებული ღობე და ჭიშკარი;
– ვინაიდან შეცვლილია გეგმარების ელემენტები, წარმოდგენილი იქნას განმარტებითი ბარათი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მითითებით.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.